

18.08.10

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად, 6.5 პროცენტზე ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა (მპკ) 2010 წლის 18 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.5 პროცენტს შეადგენს.

ივლისში წლიურმა ინფლაციამ 7 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად საბაზისო ეფექტის გავლენის შედეგია. არსებული პროგნოზებით ივლისში ინფლაციის ზრდა დროებითი მოვლენაა და მოსალოდნელია, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში წლიური ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება.

ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა ფულადი გზავნილებით სავალუტო შემოდინებები. როგორც მოსალოდნელი იყო, ივლის-აგვისტოში დაფიქსირდა ტურიზმის ექსპორტიდან შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლის საერთაშორისო ფასი, თუმცა უკანასკნელი კვირის განმავლობაში ხორბლის ფასმა ზრდა შეწყვიტა. ივლისის დასაწყისიდან მოყოლებული ზრდის ტენდენცია ჰქონდა აგრეთვე შაქრის ფასს მსოფლიო ბაზრებზე, თუმცა ბოლო დღეების განმავლობაში შაქრის ფასიც დასტაბილურდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2010 წლის 15 სექტემბერს გაიმართება.